გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 6
(11 768)
23 - 26 იანვარი, 2004 წ. ფასი 40 თ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერში:


- ფალავანი მიხეილ ერთიბელი 
- თბილისის „დინამო" ნახევარფინალშია 
- მოსაზრებები ფეხბურთის სიწმინდისათვის
- გაზაევი პოლიტიკაში მიდის 
- კარლოსი სტვენაზე არ ლიზიანდება 
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი 




ВАЖА КАЧАРАВА (ВОЛЕЙБОЛ).
1964 г. ТОКИО. XVIII ОЛИМПИЙСКИЕ ИГРЫ.

## 2 როსდა ეღირსება ქართულ ფრენბურთს აღორძინება?!

## ბათუმელთა თხოვნა დაკმაყოფილდა

ვაჟ კალათბურთელთა საქართველოს თასის მეორე გათამაშების პირველი ეტაპის მეოთხე ტურის მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა „დინამო" — „რუსთავის" შეხვედრა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ლიდერიდან ერთ-ერთს უნდა დაემტკიცებინა უპირატესობა, არამედ იმიტომაც, რომ მასპინძლებს საკუთარი უამრავი მაყურებლის თვალწინ, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ძლევა სურდათ. მით უფრო, რომ ჩემპიონატის მეორე წრეში რუსთაველებმა, მხოლოდ თბილისელებთან ქულით დათმეს მატჩი — 90:91. მაგრამ ცხოვრებაში, საერთოდ, და არა მხოლოდ სპორტში, ერთია სურვილი, მეორე — შეგწევს თუ არა ქადილის ძალა. მატჩის დასაწყისში გამოცდილ დინამოელებს დაპირისპირებულმა ახალგაზრდულმა სასტარტო ხუთეულმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და საგანგაშო სულაც არ იყო თუ პირველი მეოთხედი მასპინძლებმა მხოლოდ 1 ქულით წააგეს — 20:21. სამაგიეროდ, ქვემოქართლელებმა მეორე მეოთხედში მოახდინეს სასწაული და მოიგეს 20:12. ბრაიკოვიჩის „დინამოს" სერიოზული საფრთხე დაემუქრა, თუმცა მატჩის მთელი მეორე ნახევარი წინ იყო. „დინამო" კრიტიკულ სიტუაციებში იშვიათად თუ კარგავს წონასწორობას. ამჯამადაც ასე მოხდა. ქლენტმა და ტულუშმა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა და მეტოქეს ანანეს კიდეც გალაღება. მესამე მეოთხედი „დინამომ" 31:18 მოიგო, ტემპი ბოლო მეოთხედშიც (21:16) შეინარჩუნა და საბოლოოდ ტაბლოზე 85:74 კიაფობდა თბილისელთა სასარგებლოდ. ქლენტმა — 20, ტულუშმა — 16 ქულა მოაგროვა.



თასის გათამაშება



ამ ტურში სტუ — „ჭეოსელმა" სძლია „ბასკოს" — 110:95 (27:21, 18:29, 26:19, 39:26).

გამარჯვებულთაგან 28 ქულა მოაგროვა გაგნიძემ, ბათუმელთაგან — ი. ბერიშვილმა — 20.

თსუ- — სსუ-ს შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა 6-ქულიანი უპირატესობით — 86:80 (22:18, 30:18, 11:20, 25:24). მატჩში საუკეთესო იყო კილაძე (თსუ), რომელმაც, გუნდს 22 ქულა შესძინა. სოხუმელთაგან 16-16 ქულა მოაგროვა ზანგურაშვილმა და სორდიამ. როგორც ჩანს, რუსთაველებმა „დინამოსთან" პაექრობას დიდი ძალები შეალიეს, რადგან მეხუთე ტურში, ასევე ძლიერ მეტოქესთან სტუ „ჭეოსელთან" შესაშური მობილიზება ვერ გამოავლინეს საკუთარ მოედანზე. თუმცა, მესამე და მეოთხე მეოთხედებში მათ შეძლეს დანაკარგის ანაზღაურება და ძირითად დროში ფრესაც მიაღწიეს. ოვერტაიმში კი აშკარად დაჯაბნეს სტუმრებმა მასპინძლები და მატჩიც შთამბეჭდავად მოიგეს — 103:94 (18:14, 23:19, 24:32, 22:2; 16:7 დ.დ.). ჭეოსელიდან საუკეთესო იყო შანიძე — 24 ქ. მასპინძელთაგან — ბერუაშვილი — 24.

ერთადერთი გუნდი, ვისაც ამ ტურის წინ შეიძლება წინასწარ მიეთვალა გამარჯვება, იყო. თბილისის „დინამო". სოხუმელებმა ლიდერს მართლაც ვერ გაუწიეს ვერანაირი მეტოქობა და მატჩი იოლად მოიგო „დინამომ" — 106:57 (35:14, 23:10, 19:15, 29:18). თბილისელთაგან ამ დღეს საუკეთესო იყო გამყრელიძე, რომელმაც 21 ქულა მოაგროვა, სოხუმელთაგან — ზანგურაშვილი — 17.

„ბასკო" — თსუ-ს შეხვედრას უნდა გაერკვია თუ ვინ გააგრძელებდა პაექრობას მეორე ეტაპზე. მოტივაცია, ცხადია, ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ „ბასკოს" — განსაკუთრებით. საქმე იმაშია, რომ მომდევნო ეტაპი ბათუმშია დაგეგმილი და ბასკოელები, თუ ამ მატჩს წააგებდნენ, შინ რისხვა არ ასცდებოდათ. თავიდან შავიზღვისპირელებს მართლაც ვერ წაუვიდათ საქმე კარგად, პირველი მეოთხედი მათ 6 ქულით დათმეს, მაგრამ მეორე მეოთხედი 10 ქულის სხვაობით მოიგეს და ამის შემდეგ ხელიდან აღარ გაუშვიათ ინიციატივა. საბოლოოდ — 97:76 მათ სასარგებლოდ (17:23, 25:15, 22:15, 33:23). ბერძენიშვილმა 12 ქულა მოაგროვა, სტუდენტებიდან საუკეთესო ნაცვლიშვილი — 24.

ნახევარფინალურ შეხვედრებს გააგრძელებენ „დინამო" სტუ — „ჭეოსელი", „ბასკო" და „რუსთავი".

**ირაკლი სარალიძე, რუსთავი.**

**P.S. გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ ბათუმის თხოვნა, გადაედოთ მეორე ეტაპის მატჩები, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა.**

გთავაზობთ გათამაშების ცხრილს პირველი ეტაპის შემდეგ.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 5 | 0 | +92 | 10 |
| სტუ ჭეოს. | 5 | 4 | 1 | +29 | 9 |
| ბასკო | 5 | 3 | 2 | +30 | 8 |
| რუსთავი | 5 | 2 | 3 | +12 | 7 |
| თსუ | 5 | 1 | 4 | -33 | 6 |
| სსუ | 5 | 0 | 5 | -130 | 5 |

## ციტატა

გიორგი ნემსაძე (ლეგიონერი ფეხბურთელი): „რაღა თქმა უნდა, აწყობილ ქვეყანაში ცხოვრება კარგია. თუმცა, რა დასამალია, საკმაოდ მაშფოთებდა ჩემი ბავშვების მომავალი. რა სჯობს დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრებას, მაგრამ მე ქართულ ოჯახში ვარ გაზრდილი და შვილებიც ასეთივე ტრადიციების მიმდევარი უნდა მყავდეს. ევროპაში მეგობრობასა და ურთიერთობებს ცოტა სხვაგვარად უყურებენ, ვიდრე ეს ჩემთვის მისაღებია. ბავშვები კი უკვე გაიზარდნენ და ვდარდობდი, რომ ისინი ქართული აღზრდისა და გარემოს გარეშე დარჩებოდნენ. არ ვამტკიცებ, რომ ვაჟკაცური სული, შეგნება და გაგება ვინმეზე მეტი გვაქვს, მაგრამ ქართული მენტალიტეტით ბავშვების გაზრდა ჩემთვის ყველაზე მეტს ნიშნავს."

მთავარი გაზეთი სპორტი

## ქართული რაგბი განახლების მოლოდინშია

რაც შარშან ქართულმა რაგბმა სიამოვნება განგვაცდევინა, ერთბაშად გააქარწყლა ჯერ მსოფლიო თასზე გამგზავრებასთან ატეხილმა არაჯანსაღმა აჟიოტაჟმა, შემდეგ ჩვენი ნაკრების ფინალურ ეტაპზე უსუსურმა გამოსვლამ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ავსტრალიაში ჩვენებისგან დიდ წარმატებას არავინ მოელოდა, მაგრამ არც ის ივარაუდებოდა, რომ თუნდაც ერთი მატჩის მოგებას ვერ შეძლებდნენ ბორჯღალოსნები. მოკლედ, იმის შემდეგ პორმართალი ერთმანეთში აირია და სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა, რამაც ნაკრებში ორგანიზაციული ცვლილებებიც გამოიწვია.

საქართველოს რაგბის კავშირს 8 წელიწადია, რაც ხელმძღვანელთა ერთი და იგივე შემადგენლობა თავკაცობს. ვერ ვიტყვით, რომ ამ პერიოდში ცოტა რამ გაკეთდა, უფრო, პირიქით. მაგრამ ცხოვრებაში ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს ახალი რეალობები და ახლა გამოჩნდა ცნობილი პიროვნება, წარსულში ასევე ცნობილი მორაგბე, ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, რომელმაც გამოთქვა სურვილი კენჭი იყაროს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. ერთნი ამას, უპირველესად რაგბის სამყაროში, პროგრესულ მოვლენად მიიჩნევენ, მეორენი — პირიქით, გეგიძის ხელმძღვანელობით მიღწეული წარმატებების გალრმავებას და ახალი სიმაღლეების დაპყრობას აპირებენ.

მაინც რა პროგრამით სურს რაგბის კავშირის ხელმძღვანელად მოსვლა მერაბ ანთაძეს? როგორც ინტერვიუებში აცხადებს, მას და მის მეგობრებს ჯერ კიდევ 7 წლის წინათ შეუმუშავებიათ ქართული რაგბის აღორძინების პროგრამა. ესაა: საკლუბო ინფრასტრუქტურის, რეგიონული და ბავშვთა რაგბის განვითარება, სხვადასხვა ასაკში ძლიერი ნაკრები გუნდების ჩამოყალიბება, ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარება, ქვეყანაში რამდენიმე სარაგბო ცენტრის შექმნა, საკლუბო და ნაკრები გუნდების ტურნირებში მონაწილეობით უზრუნველყოფა. პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა სარაგბო მოედნების და სრულყოფილი ბაზის შესაქმნელად და ა.შ.

რა იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს? პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ მიღწეული აქვს შეთანხმება ორ მსხვილ უცხოელ კომპანია — ინვესტორთან, რომელთაგან ერთ-ერთი იქნება საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური სპონსორი.

მოკლედ, ორშაბათს, 26 იანვარს ყველაფერი გაირკვევა. ყრილობა დანიშნულია სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში და ჟურნალისტებს არ დაასწრებენ. ვნახოთ, ვისი პროგრამა აჯობებს და ვის უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება დახურულ ყრილობაზე.

**მიმომხილველი**

## რევოლუციამ ევროპას ჩვენი ბედკრული ხელბურთიც გაახსენა



საქართველოში „ვარდების რევოლუციის" დაძაბული დღეები იდგა ხელბურთის ეროვნულ ასოციაციაში ევროპის ფედერაციიდან წერილი რომ მიიღეს. მაშინ მთელი მსოფლიოს ყურადღება მოპყრობილი იყო საქართველოსკენ და, ცხადია, ჩვენთან მიმდინარე მოვლენებისადმი ვერც ვენაში დარჩებოდნენ გულგრილნი კონტინენტის ფედერაციის მესვეურები. ვინ იცის, იქნებ ახლა სწორედ ამ მოვლენებმა მოულბო გული იქაური ფედერაციის თავკაცებს, რომლებმაც მანამდე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრების გამოუცხადებლობის გამო 15 ათასი ევროთი დაგვაჯარიმეს. შეიძლებოდა მომხდარიყო უარესიც — საერთოდ, გაერიცხათ ჩვენი ასოციაცია თავისი რიგებიდან, მაგრამ დაგვინდეს. და აი, 18 ნოემბრით დათარიღებულ წერილში აშკარად ჩანს ევროპული ფედერაციის მამები უეცრად შემნდობნი და მოწყალენი როგორ გახდნენ ჩვენს მიმართ. „ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ქვეყანაში შექმნილ რთულ სიტუაციას, ასევე სპორტში და ხელბურთში არსებულ მდგომარეობას. ევროპის ხელბურთის ფედერაცია გულისტკივილს გამოთქვამს ამ მდგომარეობის გამო და ითვალისწინებს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლებთან დამყარებულ მჭიდრო თანამშრომლობას. განსაკუთრებით ქართველ დელეგატთა წარმატებულ მონაწილეობას ევროპულ ტურნირებზე, რაც ქართული ხელბურთის კომპეტენტურობის ნათელი დასტურია," — იწერებიან ვენიდან. მოკლედ, დიდად მოწადინებულები ჩანან ევროპულ ერთიან სახელბურთო ოჯახში საქართველოს წარმომადგენელთა დასაბრუნებლად. მაგრამ ახლა მთავარი, მაინც, შიდა პრობლემები რჩება. უპირველესად დაუფინანსებლობა. თუმცა, იმედს, წლეულს, სპორტის დეპარტამენტი ნამდვილად იძლევა, ოღონდ დეპარტამენტმა ჯერ თავადაც არ უწყის, როდის გაიღებს მოწყალებას სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან.

**ც. ბაქრაძე**

## რეალობები ქართული ფეხბურთის ფონზე



ჩვენ რომ გვეგონა საკითხი 90 პროცენტით გადაწყვეტილი იყო, ანრი მიშელი დღე-დღეზე ჩამოვიდოდა თბილისში და ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ჩაიბარებდა, არ გამართლდა. თუმცა, მიშელი მართლაც გვეწვია იანვრის დასაწყისში, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ სხვა მისიით, ალბათ სიტუაციის დასაზვერად. მაშინ ვიცოდით, რომ სტუმარს და სავარაუდოდ ჩვენ მომავალ საფეხბურთო იმედს, ძალიან მოეწონა თბილისი, ხალხი. ბუნება... იქით თურქი ბაირამ თუთუმლუ, მიშელთან დაახლოებული ბიზნესმენი და მისი აგენტი გვპირდებოდა, ფული თუ გიჭირთ, აგერ ვარ, თქვენ სხვა პრობლემები მოაგვარეთო. როგორც ჩანს, სხვა პრობლემებში მერაბ ჟორდანიას ახლანდელი მდგომარეობაც მოიაზრებოდა. და აქაც, რომ გვეგონა, სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება, რასაც გამოძიება ედავებოდა სფფ-ს პრეზიდენტს, უკვე დაფარულია და ჟორდანია ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდებაო, მოლოდინი მოლოდინად დარჩა.

აი, ასეთ სიტუაციაში მოდის ცნობა, რომ ანრი მიშელი, თურმე აფრიკიდან წასვლას არსადაც არ აპირებს. ახლა ის აფრიკის თასზე დასასწრებადაა ჩასული კონტინენტის სამხრეთში, სადაც, ეს ასპარეზობა ხვალ, 24 იანვარს დაიწყება და 14 თებერვლამდე გასტანს.

თურქი შუამავალი ირწმუნება, რომ თუ მერაბ ჟორდანიას გაანთავისუფლებენ, უმალვე დაუკავშირდება ანრი მიშელს და გააგრძელებს მასთან მოლაპარაკებას საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე. მაგრამ თუ ყველაფერი უცვლელი დარჩა, თურქი, მაინც გვპირდება, რომ არ მიგვატოვებს გაჭირვებაში და მის სიაში სხვა არანაკლებ სახელიანი მწვრთნელები მოიძებნება, მაგრამ დათანხმდება კი ვინმე აქ ჩამოსვლას, თუ ჟორდანიასთან დაკავშირებით საკითხი საბოლოოდ არ გაირკვა?

***იხ. მე-3 გვ***

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 205 დღე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 1 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. საქართველო — ქართულ საორბზე!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

# როსდა ეღირსება ქართულ ფრენბურთს აღორძინება?!

სულ ახლახან, სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ პარიზიდან. საფრანგეთის სპორტულმა ჟურნალისტებმა თავიანთი ქვეყნის, 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს საქართველოს ყოფილი მოქალაქე, თბილისში დაბადებული, გაზრდილი, აქ ფრენბურთის თამაშს დაუფლებული და დაოსტატებული ვიქტორია რავა, რომელსაც შემოკლებით ვიკას ეძახიან. იმის გამო, რომ საქართველოში ვიკამ ვერ ნახა თავისი ადგილი, არ ჰქონდა ხელშეწყობა ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისაგან, ის საფრანგეთში გადაიხვეწა, იქ დასახლდა და ქალაქ კანის ფრენბურთელ ქალთა კლუბში თამაშობს. აქვე დავუმატებთ, რომ ვიკა რავამ უკანასკნელ წლებში საფრანგეთის ჩემპიონატში და ევროპის ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლებისას უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიკა რავამ ქალაქ კანის ფრენბურთელ ქალთა გუნდს 2002-2003 წლებში ზედიზედ ორჯერ მოაგებინა ევროპის ჩემპიონთა თასი და ორივეჯერ ამ ტურნირების საუკეთესო ფრენბურთელად აღიარეს. სწორედ ამის გამო იყო, რომ გასული წლის საუკეთესო სპორტსმენად საფრანგეთში დაასახელეს ვ. რავა. ეს მსოფლიო სპორტის ისტორიაში უნიკალური და ჯერარნახული შემთხვევაა, როდესაც ქართველი ფრენბურთელი უკან იტოვებს საფრანგეთის ფეხბურთის ისეთ ცნობილ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან ზინედინ ზიდანი და ტიერი ანრი.

საფრანგეთის საუკეთესო სპორტსმენისთვის დაწესებულ მაღალ ჯილდოს ვიკას გადასცემენ დღეს, 23 იანვარს, ქალაქ კანში. სრულიად საქართველოს სპორტის გულშემატკივართა სახელით მას ვულოცავთ ასეთ მაღალ წარმატებას და ვუსურვებთ, რომ მას მომავალში ქართულ ფრენბურთშიც ეთქვას თავისი სიტყვა.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ასევე კარგი ფრენბურთელია ვიკას მეუღლე ამირან ჯიოშვილი, რომელიც, ბუნებრივია, საფრანგეთში თამაშობს. აი, ორი მამლუქი ფრენბურთელი, ცოლ-ქმარი ვიკა და ამირანი სხვა ქვეყნის, საფრანგეთის სპორტს, მის სახელს და წარმატებებს ემსახურებიან, ამ დროს კი საქართველოში ფრენბურთი, რომელიც ჩვენთან ფეხბურთისა და კალათბურთის შემდეგ სპორტის ყველაზე მასობრივ და პოპულარულ სახეობად ითვლებოდა, თითქმის ჩაკვდა და პოპულარობა დაკარგა. ფრენბურთს აღარ თამაშობენ ეზოებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სპორტულ მოედნებზე, პლაჟებზეც კი. დიდი ხანია არ გვინახავს ფრენბურთში საკლუბო გუნდებს შორის შეჯიბრება. თითქმის არ ტარდება საქართველოს ჩემპინატი და თასის გათამაშება. არადა, წარსულში გვყავდა შესანიშნავი და ვირტუოზი ფრენბურთელები არა მარტო ვაჟებში, არამედ ქალებშიც, ნოსტალგია გვიპყრობს, როდესაც ვიხსენებთ გ. ახვლედიანის, კ. ლომინაძის, ვ. თელიას, თ. ყიფიანის, ს. ტარახჩიანის, ა. თევოსიანის, ვ. კაპარავას, ს. ბუინოვის და სხვა ვაჟ ფრენბურთელთა თამაშს. აგრეთვე გვყავდა ძლიერი ფრენბურთელი ქალებიც — ე. მაიერი, ზ. შეველიოვა და სხვები.

გავიდა დიდი ხანი და ქართულ ფრენბურთში, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაპარავა ჰყავს, არავითარი სასიკეთო ძვრები არ ჩანს. 2001 წელს საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია მთლიანად გადახალისდა, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ლევან ახვლედიანი. გაჩნდა იმედი, რომ განახლებული ფედერაცია და უშუალოდ მისი პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ქვეყანაში აღორძინდებოდა ქართული ფრენბურთის ძველი ტრადიციები, მოხდებოდა მისი პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, შეიქმნებოდა ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლები, დაიწყებოდა სექციების ჩამოყალიბება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, გაიმართებოდა საქართველოს ჩემპიონატი და თასზე თამაში, და, რაც მთავარია, ფრენბურთი საყოველთაო აღიარებას მოიპოვებდა თაყვანისმცემელთა შორის. სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი ღონისძიება არ დასახულა ფრენბურთის აღორძინება-განვითარებისათვის.

ეტყობა, საკუთარი სპეციალისტებისა და მწვრთნელების უკმარისობის გამო, საქმე წინ არ მიდის და ერთ ადგილს ვტკეპნით. საჭიროა და აუცილებელია ქვეყანაში გამოინახოს საშუალებები და გზები, რომ საზღვარგარეთიდან მოვიწვიოთ პროფესიონალი ფრენბურთელები და მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. მხოლოდ მათი დახმარებით შევძლებთ ფრენბურთის თამაშის გამოცოცხლებას და მის განვითარებას. ჯერჯერობით სხვა გზა არ ჩანს, მანამდე კი, „მოთმინებითა ჩვენითა"..

**ზურამ ჩხიკვაძე**

# ერთობელი

საქართველოს სპორტულ წრეებში კარგად იცნობენ საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალურ მდივანს (1992 წლიდან), სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს გივი მძელურს, იგი 13 წელიწადი ხელმძღვანელობდა კალინინის (მთაწმინდის) სპორტკომიტეტს, იყო სპორტსაზოგადოება „ზენიტის" თავმჯდომარე, სპორტკომიტეტის კადრების უფროსი და სამმართველოს უფროსის მოადგილე, ყოფილი ტანმოვარჯიშე, 53 წელიწადია სპორტული მოღვაწეა. კიევის ქუჩაზე მდებარე მე-20 სკოლაში მწვრთნელ სერგო ზურაბოვის მოწაფემ არაერთი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა მამის მიბაძვით „ქურთების გორაზე" (ჩუღურეთში) ღია საჭიდაოზე მისი პირველი სპორტული დებიუტი ქართულ ჭიდაობაში მხარის ატკიებით დასრულდა და ჭიდაობის ნაცვლად ტანვარჯიში აირჩია.



გ. მძელური 95 წლის დედასთან ერთად

მამა, ცნობილი მოჭიდავე მიხეილ მძელური (1904 — 1972) თბილისის ძველ საჭიდაო „კრუგებში" და ე.წ. „მოძრავ ცირკებში" „ერთობელის" ფსევდონიმით გამოდიოდა. რაც შეეხება დედას, ქალბატონ ანა რაზმაძე — მძელურს მას ახლახან, ოჯახურ წრეში, ამ დღეებში 95 წლისთავი გადაუხადეს...

— მიხეილი „მცხეთობის" ზეიმზე დადიოდა საჭიდაოდ — გვიყვება ქალბატონი ანა. ახალი დანიშნული ვიყავი, XX საუკუნის 20-იან წლებში ვერის ხიდის გაღმა ესიკოვსკის ცირკში ჭიდაობაზე რომ დამპატიჟა. პირველად, მახსოვს ჩოხებით ჭიდაობდნენ, მეზურნეები კი ყველა მოჭიდავეს სიმღერითა და ლექსით ამკობდნენ სათითაოდ...

მიხეილ მძელური თბილისში სვანეთის უბანში ცხოვრობდა, რომელსაც ერთ დროს ერთობის სახელი ერქვა. აქედან აიღო მოჭიდავე მიხეილ მძელურმა თავისი იმ დროს ერთობ მიღებული ფსევდონიმი (მეტსახელი) — „ერთობელი".

მძელურები მთიულები არიან, ფასანაურის ზევით მძელურებს ლომისის წმინდა სალოცავი აქვთ. სალოცავთან უზარმაზარი რკინის ჯაჭვი ყოფილა, ბევრს რომ ადგილიდანაც ვერ დაუძრავს. ის ჯაჭვი თურმე მიხეილ მძელურს შემოუტარებია სალოცავის გარშემო...

მიხეილი ხშირად სცდიდა თავისი მკლავის ღონეს ჩვენს მადლიან ქართულ ჭიდაობაში. თბილისში „ჭირიანთ ხევში" საჭიდაო მოედანი ყოფილა გამართული, სადაც არაერთი მეტოქე დაუჩოქებია მიშა ერთობელს. ესიკოვსკის ცირკშიც ბევრ მოწინააღმდეგესააკრეფინა „ზურგზე ნახერხი"..

მიხეილი არსენალის ქარხანაში (ეს ქარხანა მეორე მსოფლიო ომისთვისაც ამზადებდა დანადგარებს) რკინის ჩინებული ოსტატი იყო. ერთხელ, თბილისქალაქის მთავარი პოლიცმაისტერი (მილიციის უფროსი) ქართული ჭიდაობის თავგადაკლული გულშემატკივარი სიმონ ხმალაძე დაზგასთან მოფუსფუსე მიხეილს დასდგომია თავზე, სასწრაფოდ „აუყვანია" და პირდაპირ ესიკოვსკის ცირკში მიუყვანია ფაეტონით ვინმე ლეკი ფალავნის „გასალახად". პოლიცმაისტერს და ქომაგებს მიშასთვის დიდი პურობა გაუმართავთ გამარჯვებისათვის...

მიხეილი მეგობრობდა მოჭიდავე ვასო („ჭაჭუკა") კანდელაკთან. მათი შერკინებები ხშირად ბარი-ბარს იყო. ანუ ფრედ მთავრდებოდა.

სვანეთის უბნელებიდან მიხეილთან ერთად საჭიდაო წრეებში გამოდიოდნენ: ლადო („კურკა") კახეთელიძე, გიორგი და კოტე მესხები (ჩოგბურთელ ლეილა მესხის ბაბუები).

მიხეილ ერთობელი კარგად იყენებდა თურმე ჭიდაობაში გარესარმას.



ფალავანი მიხეილ ერთობელი (მძელური)

მიხეილი საჭიდაო წრეში გამოდიოდა და მეგობრობდა ცნობილ ფალავნებთან სანდრო კანდელაკთან, დათა ავლაბრელთან (გაფიშვილთან), გიჟუა ჭიჭინაძესთან, სანდრო ზერეკიძესთან. მიხეილ მძელური მოჭიდავის და რკინის ოსტატის გარდა, კარგი მონადირეც ყოფილა. რაც შეეხება საჩუქრებს, რომელიც მას ჭიდაობაში მოუპოვებია, როგორც საუკუნეს მიტანებულმა მისმა მეუღლემ ქალბატონმა ანამ გვითხრა, ძირითადად ცირკებში მოპოვებული მოგებისათვის ფულით ასაჩუქრებდნენ თურმე. ქალბატონმა ანამ ისიც გაიხსენა თუ როგორ მონათლა ის თბილისის მმართველმა ლადო სუხიშვილმა და როგორ დახვრიტეს შემდეგ ლადო სუხიშვილი...

ასე რომ, რკინის კუნთებიანი რკინის ოსტატის, მოჭიდავე მიხეილ ერთობელის (მძელურის) ვაჟი გივი, მამის არჩეულ სპორტულ გზას გაჰყვა და არც ნანობს, პირიქით, ბედნიერად თვლის თავს, რომ 60 წელიწადია ქართული სპორტის კეთილშობილურ სამსახურში დგას.

**ბაბრიელ ბარჯაძე**



XX საუკუნის 20-იანი წლების მოჭიდავე ფალავნები. წინა რიგში მარცხნიდან: ნიკა მეტეხელი (ეგჯაძე), პატარა ნასიბოვი, თოხანა ავლაბრელი, პატარა მთაწმინდელი, დათა ჭალელი (გურგენიძე). მეორე რიგში: იოსებ მეჯვრისხეველი (ურიგაშვილი), კარაპეტ ჯიჯიაშვილი, მიხეილ ერთობელი (მძელური), ამბროსი გაგნიძე, ილო სვანელი (თომაშვილი), ლადო კავსაძე, პეტრე მარღანიძე, შაშო ვერელი (კახნიაშვილი), ლევან დიღმელი. მესამე რიგში: თედო წილკნელი (წოწინაშვილი), გიგოლა თეზელი (ჯავახიშვილი), არჩილ ორჯონიკიძე, გიგლა ლამისყანელი (რამაზაშვილი). ვასო კანდელაკი („ჭაჭუკა"), მიტო გლდანელი (სუხიტაშვილი), დათა ავლაბრელი (გაფიშვილი), კოლა იარმუკელი, გიორგი გარეკახელი (ხოსიტაშვილი), ვანო გლდანელი (წამალაშვილი).

# ლოკომოტიველთა წარმატება ბაქოში

საქართველოს რკინიგზის ჭიდაობის სპორტსკოლას უმდიდრესი ტრადიციები გააჩნია, მაგრამ ამ სახელოვან სკოლასაც ბოლო წლებში, ძალიან გაუჭირდა, დაფინანსება, საერთოდ შეუწყდა. და მაინც, მწვრთნელებს და მათ შეგირდებს ხელი არ ჩაუქნევიათ, ვარჯიშები გრძელდება.

რკინიგზის ახალმა ხელმძღვანელობამ გულთან ახლოს მიიტანა სკოლაში შექმნილი მდგომარეობა. დანაპირები დახმარება კი საქმედ აქცია. ახლახან ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ქალ და ვაჟ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც ჩვენი სპორსტმენებიც მონაწილეობდნენ. რკინიგზის ხელმძღვანელობამ გუნდებს სამგზავრო ვაგონი გამოუყო, რის გამო სპორტკლუბი „ლოკომოტივი" და ჩვენი სკოლის მთელი კოლექტივი, სპორტსმენები, მათი ახლობლები, მადლობას უხდიან გზის ხელმძღვანელებს.



თამუნა ბიჩინაშვილი

წარმოგიდგენთ ბაქოს ტურნირში გამარჯვებულ და პრიზიორ გოგონებს, რომლებმაც საერთო მოწონება დაიმსახურეს თავიანთი ოსტატობით. აქვე ვიტყვით, რომ ქალთა ძიუდო ჩვენში კვლავ იწყებს აღორძინებას და ეს პროცესი რკინიგზელთა სპორტსკოლიდან იწყება თავდადებულ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით. გოგონათა უფროს ასაკში პირველობა არავის დაუთმო ნინო ბუტიკაშვილმა (67) და თამუნა ბიჩინაშვილმა (48), მეორე პრიზიორები გახდნენ: ნაია ვეშაგური (52), სოფო მიხანაშვილი (44), ია ქელეხსაევა (63); მესამე ადგილზე გავიდა ნინო ოძელაშვილი (44). უმცროსთა შორის გამარჯვებულები არიან ნაია ოძელაშვილი (57) და, რაც განსაკუთრებით საამაყოა — ნინო ბუტიკაშვილი, აბსოლუტურ წონაში. ვერცხლის მედალს დაეუფლა ეკა მიხანაშვილი (36), ბრინჯაოსას — მერი გავაკეთაშვილი (32).

ვაჟებიდან კარგად იასპარეზეს ლ. ნახუცრიშვილმა, კ. ებელაშვილმა, გ. ბოჭორიძემ, გ. ბიბილაშვილმა, ა. მზარეულაშვილმა და სხვ.

**მ. კაპანაძე,**
**„ლოკომოტივის" ჭიდაობის სკოლის დირექტორი.**





# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

## დსთ-ს თასთან ახლოს

1995 წლის შემდეგ თბილისის „დინამო" კვლავ გავიდა დსთ-ს თასის გათამაშების ნახევარფინალში. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შემდეგ (ბოლო ტურში „კერკეტ კაკლად" მონათლული „ირტიში" გატეხეს), მეოთხედფინალში დინამოელთა მეტოქე იყო ბელარუსის „გომელი".



„დინამო" სერიოზულად მოეკიდა „გომელთან" შეხვედრას. მონდომებამ შედეგი მატჩის პირველსავე წუთზე გამოიღო: ანჩაბაძის ზუსტი გადაცემის შემდეგ რატი ალექსიძემ ანგარიში გახსნა. „გომელის" დაცვა და გოლკიპერი გაევი ძლივს იგერიებდა დინამოელთა შეტევებს. მეათე წუთზე მას მეორედ მოუხდა ბურთის გამოტანა საკუთარი კარიდან: ალექსიძის დარტყმულ ბურთს ერთ-ერთი ბელარუსი მცველი გადაელობა, მაგრამ იქვე მელქაძემ დაამატა და ანგარიში 2-0 გახდა.

30-ე წუთზე „გომელის" ერთ-ერთი მოთამაშე დინამოელთა საჯარიმოში არტისტულად წაიქცა ისე, რომ არც ერთი ქართველი მას არ შეხებია. ამის მიუხედავად, მსაჯმა ბასკაკოვმა წესის დარღვევა დააფიქსირა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულისაკენ მიუთითა. უსოვმა ზუსტად გამოიყენა „ნაჩუქარი". თამაში განახლდა. ხუთი წუთის შემდეგ შაშიაშვილმა მესამე გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ბელარუსებს ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი საპასუხო გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ გვარამაძემ იხსნა საკუთარი კარი.

მეორე ტაიმში „გომელმა" აქტიურად დაიწყო, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. 72-ე წუთზე კი



დარასელიამ 25 მეტრიდან ტურნირის ერთ ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა — 4-1. მასვე კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა 87-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში კვირკველიას წაქცევისათვის, მაგრამ „გომელის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

ამრიგად, „დინამომ" გაიმარჯვა 4-1 და დღეს ნახევარფინალში შეხვდება მოლდოვას „შერიფს". ამ უკანასკნელმა ტურნირიდან გამოთიშა დუბლშემადგენლობით მოთამაშე კიევის „დინამო" (1-0). მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან „კაუნასი" და „სკონტო". რიგელებმა მეოთხედფინალში 1-0 სძლიეს ცსკა-ს, რომელსაც კიეველთა მსგავსად, არ ჰყავდათ ძირითადი შემადგენლობა.



### ტურის სტატისტიკა

**თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი**

**მეოთხედფინალი**

**დინამო თბ – გომელი 4-1**

**დინამო:** გვარამაძე, შაშიაშვილი, კვირკველია, ახალაია (69. ხმალაძე), დარასელია, კანდელაკი, კარლოსი (62. გ. ჩიტაია), ბურდული, ალექსიძე, ანჩაბაძე, მელქაძე (58. სახვაძე).

**გომელი:** გაევი (46. აფანასენკო), შაგოიკო, არხიპცევი (53. ზაბოლოცკი), სულიმენკო (69. პუკასი), კორსაკოვი (46. გუსაინოვი), ბლიზნიუკი (77. ბოგდანოვი), ჩირვა, გოროვცევი, სუჩკოვი, უსოვი.

**გოლები:** 1-0 ალექსიძე (1. ანჩაბაძის პასით), 2-0 მელქაძე (10. ალექსიძის პასით), 2-1 უსოვი (30. პენ), 3-1 შაშიაშვილი (35, ალექსიძის პასით), 4-1 დარასელია (72), დარასელია (87. გამოუყენ. პენ.)

**გაფრთხილება:** ბურდული (51), კვირკველია (60), გოროვცევი (64), უსოვი (73).

**კაუნასი – ფლორა 2-2 (პპ 3-2)**

**გოლები:** 0-1 როობა (26), 1-1 სანაევასი (42), 2-1 რიახნი (44 საკ. კარში), 2-2 სიდორენკოვი (85).

**დინამო (კ) – შერიფი 0-1**

**გოლი:** 0-1 ბარიშევი (70).

**ცსკა – სკონტო 0-1**

**გოლი:** 0-1 ბუიტკუსი (32)

**ბომბარდირები:** 4 — მიხოლაპსი (სკონტო), **დარასელია** (დინამო თბ); 3 — **ალექსიძე, ბურდული, მელქაძე** (სამივე — დინამო თბ); 2 — **იაშვილი, ანჩაბაძე, შაშიაშვილი** (სამივე — დინამო თბ), სიდორენკოვი (ფლორა), ივანოვი, აგაევი (ორივე — ირტიში), ხაცკევიჩი (დინამო კ), ურაზოვი (ნისა), მაზალოვი, სამოდინი (ორივე — ცსკა), უსოვი (გომელი), ოპიცი (კაუნასი), კალნინში (სკონტო).

**ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის სტატისტიკა**

**B ჯგუფი**

**დინამო (თბ) – ირტიში 5-3**

**დინამო:** გვარამაძე (72. მამალაძე), კანდელაკი (61. წერეთელი), შაშიაშვილი, დარასელია (64. სახვაძე), გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე (61. კარლოსი), კვირკველია (76 გ. ჩიტაია), ახალაია (77. ხმალაძე), მელქაძე (61. ბობოხიძე), ალექსიძე.

**ირტიში:** ნოვიკოვი, კუმისბეკოვი, ნურიევი, დავლეტოვი, იურინი, სკორიხი (62. ივანოვი), ქეილიტბაევი (62. ხინჩაგოვი), ირისმეტოვი, უსმანოვი, აგაევი, ნურდაულეტოვი.

**გოლები:** 1-0 დარასელია (16), 2-0 ანჩაბაძე (18), 3-0 ალექსიძე (25), 3-1 უსმანოვი (43), 4-1 ბურდული (45), 4-2 უსმანოვი (48), 5-2 შაშიაშვილი (57), 5-3 დავლეტოვი (71. პენალტით).

**გაფრთხილება.** აგაევი (32), იურინი (48), გოგობერიშვილი (60), ივანოვი (87).

**სკონტო – ქაშტიკი 7-0**

**გოლები:** 1-0 მიხოლაპსი (26), 2-0 ბლანკი (45), 3-0 კალნინში (46); 4-0 მიხოლაპსი (51), 5-0 შევლიაკოვსი (58), 6-0 მიხოლაპსი (65. პენალტით), 7-0 სტარკოვსი (67).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 3 | 2 | 1 | 0 | 14-6 | 7 |
| სკონტო | 3 | 2 | 1 | 0 | 11-3 | 7 |
| ირტიში | 3 | 1 | 0 | 2 | 8-8 | 3 |
| ქაშტიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-18 | 0 |

**A ჯგუფი**

**ცსკა – რეგარი 2-1**

**გოლები:** 1-0 მაზალოვი (49), 2-0 სამოდინი (59, პენალტით), 2-1 ხამიდოვი (75. პენალტით).

**გომელი – ფახთაქორი 2-2**

**გოლები:** 1-0 ჰუსაინოვი (25), 1-1 გაჯიევი (55), 2-1 სუჩკოვი (85), 2-2 ჯახანოვი (90. პენალტით).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| გომელი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| ფახთაქორი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| რეგარი | 3 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

**C ჯგუფი**

**დინამო (კ) – ფლორა 4-0**

**გოლები:** 1-0 ხაცკევიჩი (12), 2-0 ჩესნაუსკისი (25), 3-0 ვორობეი (60), 4-0 მილევსკი (81, პენალტით).

**ნისა – პიუნიკი 1-2**

**გოლები:** 1-0 ურაზოვი (35), 1-1 პეტროსიანი (89), 1-2 გრიგორიანი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (კ) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| ფლორა | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| პიუნიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| ნისა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**D ჯგუფი**

**კაუნასი – ყარაბახი 3-0**

**გოლები:** 1-0 ოპისი (24), 2-0 ოპისი (34), 3-0 ქვინგილასი (83).

**შერიფი – რუსეთი (ახ) 1-1**

**გოლები:** 1-0 ფარია (38), 1-1 ცაპინი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| შერიფი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ყარაბახი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| რუსეთი (ახ) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |

## რეალობები ქართული ფეხბურთის ფონზე

პირველი გვერდიდან

აი, ასეთ ფონზე გამართეს თავიანთი პრესკონფერენცია მოსკოვიდან დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე სტუმრების შემდეგ შინ დაბრუნებულმა სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ჩივაძემ და გენერალურმა მდივანმა ვ. ჩოლარიამ. ჯერ ა. ჩივაძეს მოვუსმინოთ: „დსთ-ს ჩემპიონთა თასის გახსნის წინ უეფასა და ფიფას ხელმძღვანელები მოვინახულეთ. უეფასთან პროგრამა „ჰეთ-თრიკის" ჩვენეული პროექტი წარვადგინეთ, მოიწონეს და დაგვპირდნენ, პრობლემა არ შეგვექმნებათო. მეორე დღეს, 18 იანვარს, ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერსა და ვიცე-პრეზიდენტ მიშელ პლატინის შევხვდით. პროგრამა „გოლში" საკუთარი გეგმა წარვადგინეთ, რომელიც მათ დადებითად შეაფასეს. ბლატერთან და პლატინისთან მომდევნო დღეს კიდევ გვქონდა საუბარი. მათ გვითხრეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე წერილს ამზადებენ. ისინი ჩვენთან ერთად ითხოვენ მერაბ ჟორდანიასთვის ალმკვეთი ზომის გათავისუფლებით შეცვლას და ძიების ისე გაგრძელებას."

შეკითხვაზე: შეეხნენ თუ არა პლატინისთან საუბარში სანაკრებო თემას, კერძოდ, მწვრთნელის საკითხს, ჩივაძემ უპასუხა, რომ ასეთი საუბარი შედგა და პლატინი სფფ-ს სთავაზობს კიდევ ორ კანდიდატურას, თუმცა მათი ვინაობის გამხელისგან ჩივაძემ თავი შეიკავა. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და იანვრის ბოლოს ჟორდანიას და პლატინის ამ თემაზე თავად ექნებათ საუბარი, მაშინ ყველაფერი გაირკვევა" — აღნიშნა სფფ-ს დროებითმა ხელმძღვანელმა. მერე კი ისიც თქვა, რომ ტრაგედია არ უნდა შევქმნათ იქიდან ჩავა თუ არა ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი 31 იანვარს ჯგუფის სათამაშო კალენდრის შესადგენად კიევში. მაგალითად კი იარცევის გადაწყვეტილება მოიტანა, რომელსაც უთქვამს: „კალენდარზე უფრო მეტად ის მაინტერესებს, როგორ ფორმაში არიან ნაკრების ფეხბურთელებიო."

კითხვაზე, მერაბ ჟორდანიას თუ არ გამოუშვებენ, ვინ ჩაიბარებს ნაკრებს, ვ. ჩოლარიამ უპასუხა: „ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: თუკი მერაბი არ განთავისუფლდება, მაშინ ეროვნულ გუნდს ჩაიბარებს საქართველოში დასაქმებული ქართველი მწვრთნელი". კერძოდ, თუ ვინ იქნება ის მწვრთნელი, ჩოლარიამ არ დააკონკრეტა. მანამდე მან თქვა, რომ საჩივარი შეაქვთ ირაკლი ოქრუაშვილის სახელზე გენერალურ პროკურატურაში ჟორდანიას საკითხთან დაკავშირებით. იმ დათქმული 10 დღის შემდეგაც თუ საკითხი დადებითად არ გადაწყდება, სხვა ზომებსაც მივმართავთო.

შემდეგ საუბარი შეეხო ნაკრებს და მის ფეხბურთელებს. ითქვა სანდრო იაშვილის პროგრესზე, ლადო ახალაიას კარგ შერწყმაზე გუნდთან. როგორც ვ. ჩოლარიამ აღნიშნა, ჩვენი ნაკრები 15 თებერვალს გაემგზავრება კვიპროსზე და იქ 18-ში პირველ მატჩს გამართავს. ჩივაძემ დაამატა, რომ აგვისტოში სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრებიან ესტონეთის ან მოლდოვას ნაკრებებს, მანამდე კი აპრილში და მაისში, თითო საკონტროლო მატჩის ჩატარება იგეგმება.

კითხვაზე თუ კონკრეტულად რაზე ისაუბრეს იოზეფ ბლატერთან, ჩივაძემ უპასუხა: „ვიმსჯელეთ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე, აგრეთვე კლუბთა გაერთიანების მიერ საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის მიზანშეწონილობაზე, რაც ბლატერმა კატეგორიულად დაგმო. საუბარი შეეხო კლუბთა ფინანსურ სიდუხჭირეს. არიან გუნდები, რომლებსაც დიდი ვალი აქვთ, მაგრამ ახალ ფეხბურთელებს მაინც ყიდულობენ"...

## დაწესდება პრიზი „დსთ-ს და ბალტიის საუკეთესო ფეხბურთელისათვის"

რუსული სპორტული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი", რუსეთის საფეხბურთო კავშირის მხარდაჭერით აწესებს პრიზს, რომელიც გადაეცემა **დსთ-სა და ბალტიის საუკეთესო ფეხბურთელს** ყოველი წლის ბოლოს. პრიზის მფლობელის ვინაობა გაირკვევა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკის სპორტული გამოცემები.

ასეთი პრიზის დაწესებას მიესალმება ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი.** „ეს პრიზი ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე", — თქვა ფიფას პრეზიდენტმა.

წარსულში ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი **მიშელ პლატინი** მიიჩნევს, რომ პრიზის პირველი მფლობელი გახდება „მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო, რომელიც დღეს იტალიის სერია „ა"-ს საუკეთესო ბომბარდირია.

გაგაცნობთ დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა აზრს „დსთ-სა და ბალტიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის" პრიზის დაწესების თაობაზე.

**რამიზ მამედოვი (აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „ბრწყინვალე იდეაა. მიკვირს კიდეც, აქამდეც ხომ შეიძლებოდა ამგვარი პრიზის დაწესება? ანდრეი შევჩენკო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, „იუვენტუსის" კარში გატანილი თერთმეტმეტრიანით გამარჯვება მოუტანა „მილანს", „ოქროს ბურთის" გარეშე დარჩა. ვფიქრობ, დსთ-სა და ბალტიის „წლის საუკეთესო ფეხბურთელის" პრიზის პირველი ლაურეატი, სწორედ შევჩენკო იქნება."

**რუბენ აირაპეტიანი (სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი).** „ასეთი პრიზის დაწესება კიდევ უფრო შეაკავშირებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხებს, ხელს შეუწყობს საფეხბურთო პრობლემების ერთად განხილვას და გადაწყვეტას".

**ალექსანდრე ჩივაძე (სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი):** „დიდებული იდეაა. დღესდღეობით ანდრეი შევჩენკო და კახი კალაძე საუკეთესონი არიან დსთ-ს სივრცეში. ორივე მათგანმა, პირველებმა ყოფილი საბჭოეთიდან მოიპოვეს ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მთავარი ჯილდო.

ასევე ყოველწლიურად პროგრესს განიცდის ალექსეი სმერტინი. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშით.

აღნიშვნის ღირსნი არიან ვალერი კარპინი, ალექსანდრ მოსტოვოი, შოთა არველაძე..."

**გრიგორი სურკისი (უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი);** „ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არიან ტალანტები და ასეთი პრიზის დაწესება იქნება სტიმული მათი შემდგომი პროგრესისა და დაოსტატებისა. დღესდღეობით, უძლიერესად, რა თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკო მიმაჩნია".

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვიაჩესლავ კოლოსკოვმა** პოსტსაბჭოურ სივრცეში საუკეთესო ფეხბურთელთა სამეული ასე ჩამოაყალიბა: შევჩენკო, მოსტოვოი, კალაძე.

**საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!**

# გიორგი ლომაია: „კონკურენციის გარეშე შეუძლებელია პროგრესი“

*„გალათასარაისთან“ ამხანაგურ მატჩში „სპარტაკის“ დაშავებული გოლკიპერი გიორგი ლომაია უკვე შეუდგა ვარჯიშს. გთავაზობთ მის მიერ რუსი ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუს.*



— ფეხის ტკივილებს ცოტას ვგრძნობ, თუმცა ესეც გაივლის, — ამბობს გიორგი ლომაია.

● ***უგებთ „სპარტაკის“ ახალ მწვრთნელს ნევიო სკალას?***

— იტალიური მესმის და სკალასთან ურთიერთობაში პრობლემა არ მაქვს.

● ***იტალიური ენა გესმით, ამ ქვეყნის სამზარეულო თუ მოგწონთ ქართველ კაცს?***

— იტალიური სამზარეულო რაღაცით ჰგავს ქართულს.

● ***ქართველებს ღვინო უყვართ? თქვენ?***

— მაინცდამაინც დიდი გურმანი არ ვარ. ხანდახან, შვებულების დროს, შეიძლება სამიოდე ჭიქა ქართული ღვინო დავლიო, ისიც, შინ დამზადებული. სხვათა შორის, როცა თბილისის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი, ფეხბურთელებს გვაძლევდნენ უფლებას ყოველდღიურად დაგველია თითო ჭიქა შავი ღვინო.



● ***„სპარტაკში“?***

— აქ ასეთი ტრადიცია არ აქვთ.

● ***საყვარელი სადღეგრძელო?***

— მშობლებს და ახლობლებს რომ შეეხება.

● ***როდის გადაწყვიტეთ გოლკიპერობა?***

— 8 წლის ასაკში.

● ***რატომ?***

— სირბილი არ მიყვარდა, კარში დგომა კი ყოველთვის მიზიდავდა. საერთოდ, „საფეხბურთო უბანში“ ვცხოვრობდი თბილისში. ასიოდე მეტრით იყო დაშორებული კახი კალაძის სახლი, ასევე ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ კობიაშვილი, გვარამაძე, შაშიაშვილი. ეზოში ფიცხელი ბრძოლა გვქონდა ხოლმე გამართული. თავს არ ვზოგავდი. ოღონდაც ბურთი არ მიმეღო საკუთარ კარში.

● ***ვინ იყო თქვენი კერპი?***

— დანიელი პეტერ შმეიხელი. ბავშვობაში ვაგროვებდი მსოფლიოში ცნობილ გოლკიპერების სურათებს. მოქმედი მეკარეებიდან ძალიან მომწონს ბუფონი და ტოლდო.

● ***ვინ არის ყველაზე ახლო მეგობარი საქართველოს ნაკრებში?***

— გუნდში ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მაინც კალაძეს გამოვარჩევ.

● ***როცა კალაძე მოედანზეა, თავს ალბათ, მშვიდად გრძნობთ...***

— რა თქმა უნდა. ასე მგონია, ჩემს წინ, მეტოქეთათვის დიდი კედელია აღმართული. საერთოდ, საქართველოს ნაკრებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს. მაგრამ ჯერჯერობით ვერ შევძელით შესარჩევი ციკლის წარმატებით დაძლევა. ვიმედოვნებ, რომ ამის გაკეთებას ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელთან ანრი მიშელთან ერთად შევძლებთ.

● ***რას ფიქრობთ „სპარტაკში“ მეკარეთა შორის კონკურენციაზე?***

— რა თქმა უნდა, ვინც უკეთ მოემზადება, კარს მას მიანდობენ. კონკურენციის გარეშე, შეუძლებელია პროგრესი სათამაშო კლასში.

● ***პენალტებთან როგორი „დამოკიდებულება“ გაქვთ?***

— თავად განსაჯეთ: თბილისის „ლოკომოტივმა“ ორჯერ მოიპოვა საქართველოს თასი და ორჯერვე მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში. კარგად მახსოვს აგრეთვე, მატჩი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომლის დროსაც ორი პენალტი ავუღე ამჟამად „რომას“ ერთ-ერთ ლიდერს კასანოს.

● ***როგორ იცნობთ დარტყმის მიმართულებას?***

— ეს ჩემი საიდუმლოა (იცინის).

# ვიმსჯელოთ. იქნებ მისაღებია...

## მოსაზრებები ფეხბურთის წესების შეცვლასთან დაკავშირებით

*ფეხბურთმა მთელი მსოფლიო მოიქცია თავის ორბიტაში და, ბუნებრივია, იზრდება სურვილი ამა თუ იმ ქვეყანამ განსაკუთრებით გამოიჩინოს თავი საერთაშორისო სარბიელზე. ამ სურვილს ემსახურება ფეხბურთელთა და მწვრთნელთა, ფეხბურთის ფუნქციონერთა ერთიანი და უშურველი ძალისხმევა. ცნობილმა გამოთქმამ „მიზანი ამართლებს საშუალებას“. სამწუხაროდ, საფეხბურთო სამყაროშიც იჩინა თავი. ფეხბურთელები, კლუბები, ნაკრებები, ხშირად მიმართავენ ისეთ ქმედებებს, რაც სახელს უტეხს და ჩრდილს აყენებს ამ პოპულარულ თამაშს. ჩხუბი და აყალმაყალი, დოპინგსა და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებაში მხილება, ჩაწყობილი თამაშები, სულაც ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელის მოსყიდვა, მოედანზე სისასტიკის გამოვლენა, მსაჯების შეურაცხყოფა, ზოგჯერ კი მსაჯთა სუბიექტურობით დაუმსახურებლად გამარჯვების გამოვლენა და ა.შ.*

*ფეხბურთი ბალეტი რომ არ არის, ყველამ ვიცით. მაგრამ მისგან შორს უნდა იყოს ყოველგვარი სიბინძურე და უზნეობა, რაც განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს მოზარდი თაობის ფსიქიკაზე, რადგან გამოჩენილი ფეხბურთელები მათი კერპები არიან.*

*ჩემს მიერ შემოთავაზებული სიახლეები ფეხბურთის წესებში, ვფიქრობ, შეამცირებს არასასურველ, უარყოფით გამოვლინებებს თამაშში, აამაღლებს ურთიერთპატივისცემას ფეხბურთელებში და მსაჯების მიმართ, მინიმუმამდე დავა საკონფლიქტო სიტუაციების გამომწვევი მიზეზები.*

*კარგი იქნებოდა თუ ჩემს მოსაზრებებს განიხილავდა სფფ და სათანადო მსვლელობას მისცემდა ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამასთან, ვთხოვთ ყველას, გამოგვეხმაურონ. მაშ ასე, აი, ეს მოსაზრებებიც:*







— კუთხურის, ან თავისუფალი საჯარიმოს ჩამოწოდების დროს, მეკარის მოედანზე აიკრძალოს მოწინააღმდეგის თავდასხმის ყოფნა. მოთამაშეთა დაკონტაქტება მოხდეს მსაჯის სასტვენის შემდეგ — კუთხურის ან თავისუფალი დარტყმის ჩამოწოდებისთანავე.

— გუნდი, რომელიც სამი ყვითელი ბარათით დაჯარიმდება უნდა დაისაჯოს ნებისმიერი ერთ-ერთი მოთამაშის მინდვრიდან გაძევებით გარკვეული დროით (10-15 წუთით) გუნდის მწვრთნელის ან კაპიტანის წინადადებით. ასევე განმეორდეს შემდეგი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევებშიც.

— გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად დანიშნული დამატებითი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, პენალტების მაგივრად შესრულდეს საჯარიმო დარტყმები კარში, საჯარიმო მოედნის ხაზის ნებისმიერი წერტილიდან.

— თავდასხმის მიერ მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით დარტყმული ბურთი, კარის ძელს ან ხარიხას თუ მოხვდება და გავა კარს უკან, ბურთი ჩაითვალოს კუთხურზე გასულად და თავდამსხმელმა გუნდმა უნდა ჩამოაწოდოს კუთხური.

— გუნდების განაცხადში მყოფ ყველა ფეხბურთელს მიეცეს საშუალება ითამაშოს შეცვლაზე, ნებისმიერ დროს მწვრთნელის მოსაზრებით.

— უფრო მკაცრად დაისაჯონ ფეხბურთელები, რომლებიც ტრავმას მიაყენებენ, განსაკუთრებით სახის არეში, მეტოქეს.

— საჯარიმო დარტყმა კარის მიმართულებით თავდასხმის მიერ შესრულდეს მოწინააღმდეგე მცველთა მიერ კედლის აღმართვის გარეშე.

— ფეხბურთის მოედნის ნებისმიერ ადგილზე (გარდა მოწინააღმდეგე გუნდის საჯარიმო მოედნისა) მყოფი მოთამაშე თუ მიიღებს ბურთს მიწოდებულს თავით — მას შეუძლია გააგრძელოს თამაში.

— თვალთახედვის გასაუმჯობესებლად კარის ძელი, ხარიხა და ბადე შეიღებოს მკვეთრი ყვითელი ფერით.

**ვლადიმერ გაგნიძე**
**თბილისი.**

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## ვისენტე დელ ბოსკე: არასოდეს დავბრუნდები „რეალში“

მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ გაზეთ „მარკასათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობის დროს, გუნდი უფრო უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე ამჟამად თამაშობს კარლუშ კეიროშის თავკაცობით.

„გუნდში ყოველთვის იყვნენ გამოცდილი მოთამაშეები, დღეისათვის კი მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია. ამჟამინდელი „რეალის“ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კეიროში ხშირად უშვებს მოედანზე გამოუცდელ ახალგაზრდებს. ვფიქრობ, არ შეიძლება ერთბაშად რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელის გამოყვანა.“ — ამბობს დელ ბოსკე.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, დაბრუნდებოდა თუ არა იგი „სამეფო კლუბში“, დელ ბოსკემ უპასუხა: „მადრიდში“ „სუფთა ადამიანი ვიყავი“ და აქედან გამომდინარე, გუნდის ამგვარი დატოვების შემდეგ დაბრუნებაზე საუბარი ზედმეტია. ამის მიუხედავად, მე მაინც ვიქნები „რეალის“ გულშემატკივარი.

## ვალერი გაზაევი პოლიტიკაში მიდის



რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების ექს-მწვრთნელი, ამჟამად უმუშევარი ვალერი გაზაევი, ჯერჯერობით, არ აპირებს ფეხბურთში დაბრუნებას. გაზაევის გეგმაში შედის, ჩაეწეროს პარტია „ერთიან რუსეთში“. ვალერი გეორგის ძეს საამისოდ უკვე მომზადებული აქვს ყველა დოკუმენტი და ცოტა ხანში შედგება მისი დებიუტი პოლიტიკაში.

„ვთვლი, რომ პარტია „ერთიანი რუსეთის“ პოლიტიკური პროგრამა სრულიად მისაღებია ჩემთვის. არავის ეგონოს, რომ პოლიტიკაში წასვლით რაიმე პრივილეგიების მიღებას მოველი“. — ამბობს ვალერი გაზაევი. აქვე გეტყვით, რომ „ერთიანი რუსეთის“ წევრები არიან ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელთა შტაბი გიორგი იარცევის ხელმძღვანელობით.

# თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

**1. სურათზეა კოლუმბიელთა კერპი, ფეხბურთელი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თავისი ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში. ვინაა იგი?**



**2. სურათზეა გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, რომელიც სხვადასხვა წლებში თამაშობდა მილანის „ინტერნაციონალში“, „მილანში“, „იუვენტუსში“, „ვარეზეში“... იყო იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი, იტალიის ნაკრების წევრი. 1983 წელს აღიარებული იქნა იტალიის საფეხბურთო ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მისი სახელობისაა მილანის სტადიონი „სან-სირო“.. ვინა იგი?**



**„ლელო“ №5-ში გამოქვეყნებული შეკითხვის პასუხი:**

ბედაურზეა გერმანელი ფეხბურთელი მარიო ბასლერი.

## კოლინა — 2003 წლის საუკეთესო მსაჯი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გასული წლის საუკეთესო არბიტრის წოდება მიანიჭა იტალიელ პიერლუიჯი კოლინას. საინტერესოა, რომ ეს ორგანიზაცია უკვე ზედიზედ მეექვსე წელია, საუკეთესოდ მიიჩნევს იტალიელს. მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი მარკუს მერკი.

# ფოტო - არქივიდან...

**„ლელოს“ არქივში აღმოჩენილ ამ ფოტოზე აღბეჭდილია ქუთაისის ერთ-ერთი გუნდი. რომელი? ვინ არიან ეს ფეხბურთელები?**



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ობლად დარჩენილი რობერტო კარლოსი

*ბრაზილიელი რობერტო კარლოსი დღესდღეობით საკმაოდ რთულ სიტუაციაში იმყოფება. მისი ახალი კონტრაქტი მადრიდის „რეალთან“, რომ იტყვიან, „ჰაერშია გამოკიდებული“. ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ თითქოს მომავალ სეზონს რობერტო ლონდონის „ჩელსიში“ შეხვდება, მაგრამ ასეთი რამ თვით ფეხბურთელმა გამორიცხა. მისი თქმით, „სამეფო კლუბთან“ ახალ კონტრაქტს მაისში მოაწერს ხელს. გთავაზობთ მადრიდის „რეალის“ ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელიც რობერტო კარლოსმა ერთ-ერთ ჟურნალისტს მისცა.*




● ***თავს როგორ გრძნობთ?***

— ისე, არა როგორც წლების წინ. საქმე ის არის, რომ ტრავმებს ადრე არასდროს შევუწუხებივარ. ბოლოდროინდელმა ფეხის ტრავმამ კი ლამის დამთრგუნა. და მაინც, ჩემეულ რიტმში ვთამაშობ, საკუთარი სტილით. მომავალშიც მინდა კარგი თამაში ვაჩვენო.

● ***ხელს გიშლით ის, რომ ყვე-***




რაული და რობერტო კარლოსი მორიგ წარმატებას ზეიმობენ

***თელი პრესის ყურადღების ცენტრში ხართ?***

— მეუღლესთან გაყრის შემდეგ პაპარაცები მაინც არ მასვენებენ. სამწუხაროდ, ამას ვერ ვეგუები. არ მინდა, რომ ყველგან ჩუმად დამყვებოდნენ, — მე ფეხბურთით ვცხოვრობ, ჟურნალისტები კი იმაზე წერენ, თუ ვისთან დავდივარ, რას ვსვამ...

● ***ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თქვენს მიერ ახალ კონტრაქტზე ხელის მოუწერლობამ...***

— მე არაერთხელ მითქვამს და ვიმეორებ, მაისამდე კონტრაქტს არ გავაფორმებ.

● ***გსურთ, რომ ახალი კონტრაქტით პირობები საუკეთესო გქონდეთ?***

— ყველაფერს კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი წყვეტს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა მხოლოდ რობერტო კარლოსმა მისცა კლუბს ბევრი რამ, არამედ მეც ბევრი მივიღე კლუბისაგან. როცა „რეალიდან“ წავალ, მსურს ისე გადავდგა ეს ნაბიჯი, როგორც პირველად მოვედი: ღიმილით და თავაწეული...

● ***არიან ადამიანები, რომლებსაც არ სჯერათ, „რეალთან“ თუ გააგრძელებთ კონტრაქტს...***

— მართლა? (იცინის) არა. მე მაისში აუცილებლად მოვაწერ ხელს კონტრაქტს.

● ***ხომ არ გწყინდათ, რომ იანვარში გამართულ რამდენიმე შეხვედრაში მაყურებელმა სტვენა დაგიწყოთ?***

— არა. ჩვენ მოედანზე გამოვდივართ, რათა დიდი ფეხბურთი ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ. მაყურებლები კი სტადიონზე თავიანთი კერპების სანახავად მოდიან. თუ კერპები ცუდად თამაშობენ, მათი გულშემატკივრები, ბუნებრივია, უსტვენენ. 1998 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატი წავაგეთ, ამაში 150 მილიონ გულშემატკივარს მთავარ დამნაშავედ მივაჩნდი, 80 ათასი გულშემატკივრის სტვენა კი, ცხადია, კონცენტრაციას არ დამაკარგვინებს.

● ***რაზე გწყდებათ გული?***

— მეტად რთულ სიტუაციაში ვარ. ასეთ მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ. მეუღლესთან და შვილებთან განშორების შემდეგ, როცა ვილვიძებ, ჩემს გვერდით შვილებს ვერ ვხედავ, თავს მარტოდ ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეგობარი მყავს. მე აღარც მშობლები მყავს, აღარც შვილები.

● ***ეს ახდენს გავლენას ფეხბურთის თამაშზე?***

— ტრავმა იმიტომ მივიღე, რომ სულელურ დეპრესიაში ვიყავი. როცა თამაშის განწყობაზე არ ხარ, ის დღე დაკარგულია.

● ***როდის დაძლევთ კრიზისს?***

— ვიმედოვნებ, — მალე.

## ევროპაში სუსტი მეტოქეები აღარ არიან

*მოსკოვში, დსთ-ს თასის გათამაშებაზე დასასწრებად ჩასულმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა „სპორტის“ ჟურნალისტს მისცა ინტერვიუ, რომელიც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს „ლელოს“ მკითხველთათვის.*



● ***ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თანამეგობრობის თასის გათამაშებამ ბოლო პერიოდში პოპულარობა დაკარგა?***

— მზად ვარ შევეკამათო იმათ, ვინც ამ ტურნირს მომავალში შეწყვეტას უწინასწარმეტყველებენ. ოთხი-ხუთი წლის წინათაც იგივეს ლაპარაკობდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ტურნირი კვლავ ტარდება და ის რჩება ფორუმად, რომლის დროსაც ხვდებიან ძველი მეგობრები. დსთ-ს თასის გათამაშებას ბევრი დადებითი მხარე აქვს. პირველ რიგში ის, რომ გუნდში ახალი სახეები ჩნდებიან. სელექციონერები ახალგაზრდა ფეხბურთელებს არჩევენ... მოსკოვური ტურნირი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერ ვიხილავდით კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ბელკევიცს, ხაცკევიჩს, კალაძეს...

იმასაც ვიტყვი, რომ შეჯიბრების ფორმატის შეცვლაა საჭირო. თუკი დსთ-ს თასის გათამაშება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც ჩატარდება, ვფიქრობ, უფრო მიმზიდველი და საინტერესო სანახაობა გახდება.

● ***უკრაინის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ ეტაპზე, მეტად რთულ ჯგუფში მოხვდა. ახალი მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი ირწმუნება, რომ ეროვნულ გუნდს აუცილებლად გაიყვანს ფინალურ ეტაპზე. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. ევროპაში აღარ არიან სუსტი მეტოქეები. პოტენციურ აუტსაიდერებსაც, კი, როგორიცაა ალბანეთის ნაკრები ძალუძთ სიურპრიზების შემოთავაზება.

ახლა უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. მწვრთნელის მთავარი ამოცანაა, იპოვოს იდეალური ურთიერთთანხმობა ვეტერანებსა და ამბიციურ ახალგაზრდობას შორის. მჯერა, რომ ბლოხინი კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. მისი მაქსიმალიზმი იმ დროიდანაა ცნობილი, როცა თავადვე თამაშობდა ფეხბურთს და ევროპაში საუკეთესოც იყო.

## კიევის „დინამომ“ „შტუტგარტს“ მოუგო

გერმანიაში, საზამთრო არდადეგებზე მყოფმა კიევის „დინამომ“ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. უკრაინელებმა 4-3 დაამარცხეს გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი „შტუტგარტი“.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„შტუტგარტი“:** ჰილდე ბრანი (ჰიანენი, 46), ქიუკოვიჩი, მეირა (ვრანიეში, 46), ბორდონი (ჰუსტერერი, 46), ჰინკენი, გლები (ტიფერტი, 46), სოლდო, ჰელდტი (სენტურიონი, 46), ლამი, სობიჩი (კაკაუ, 46), შტრელერი (კურანი, 46).

**„დინამო“ (კიევი):** შოკოვსკი, გავრანჩიჩი, საბლიჩი (ნესმაჩნი, 46), ალესანდრო (გოლოვკო, 46), ამისულაშვილი, ლეკო (დოგო რინკონი, 46), ჩერნატი (გიოანე, 46), ოგნენოვიჩი (დმიტრულინი, 46), ბელკევიჩი, ვერპაკოვსკი (პეევი, 46), შაცკიხი (კლებერი, 46).

**გოლები გაიტანეს:** მიუნხენელთაგან — შტრელერმა (11), მეირამ (12), სობიჩმა (22), კიეველთაგან — ოგნენოვიჩმა, შაცკიხმა, კლებერმა და რინკონმა.

მორიგ ამხანაგურ მატჩს კიევის „დინამო“ 24 იანვარს გამართავს „მიუნხენთან“.

## 23 ფეხბურთელის განაცხადის უფლება აქვთ

უეფამ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეებს დართო ნება თავიანთ განაცხადებში შეიყვანონ 23 ფეხბურთელი. აქედან სამი გოლკიპერი უნდა იყოს.

## საფეხბურთო მოედანზე... რადიომიმღებით?

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას უახლოეს ხანში მოუწევს, გადაწყვიტოს საკითხი, შეიძლება თუ არა ფეხბურთელს თამაშის დროს თან ჰქონდეს რადიომიმღები მოედანზე. ასეთი უცნაური საკითხის განხილვის აუცილებლობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ბელგიის ჩემპიონატის ამასწინანდელ ტურში, „ბრიუგესთან“ მატჩის დროს, „გენკის“ მეკარეს იან მუნსს რადიომიმღები აღმოაჩნდა. თურმე „გენკის“ მთავარი მწვრთნელი სეფ ვერგოზენი, რაციით ხელმძღვანელობდა ფეხბურთელებს. საინტერესოა, რომ აღნიშნული მატჩი „გენკმა“ მოიგო 1-0.

„ეს პირველი შემთხვევაა და ფიფამ უნდა გადაწყვიტოს რადიომიმღებით სარგებლობის საკითხი“, — განაცხადა, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ნიკოლას კორნიუმ.

## კარლოს ბიანკი — 2003 წლის საუკეთესო მწვრთნელი



ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგის მიხედვით არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ თავკაცი კარლოს ბიანკი გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. მისივე ხელმძღვანელობით „ბოკა ხუნიორსმა“ 2003 წელს მოიპოვა არგენტინის ჩემპიონის ტიტული, ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები.

მეორე ადგილზე გავიდა კარლო ანჩელოტი („მილანი“), ხოლო მესამეზე — მარჩელო ლიპი („იუვენტუსი“)

## მორატი ფაკეტიმ შეცვალა

მასიმო მორატის წასვლის შემდეგ, მილანის „ინტერის“ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ჯიაჩინტო ფაკეტიმ, რომელიც აქამდე ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

„ფაკეტი საჭირო კაცია. რაც შეეხება ჩემს წასვლას, ეს დრამად არ უნდა აღვიქვათ. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას მომცემს, უკან „მივიხედო“ და გავაანალიზო ის, რაც მოხდა. საბედნიეროდ, ჩემს წასვლას უარყოფითად არ უმოქმედია კლუბზე“, — ეს სიტყვები „ინტერის“ აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ მორატი „ინტერის“ პრეზიდენტი 1995 წელს გახდა, თავისი მოღვაწეობის პერიოდში მან 600 მილიონ დოლარამდე დახარჯა, შეიძინა 103 მოთამაშე და 10 მწვრთნელი გამოცვალა. ამის მიუხედავად, „ინტერმა“ — „სკუდეტო“ მაინც ვერ მოიპოვა. მორატის ხელმძღვანელობით, ამ გუნდმა მხოლოდ უეფას თასი მოიგო ერთხელ.



## „არივედერჩი“ კოლინა?

საქვეყნოდ ცნობილმა არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ 2004-2005 წლების სეზონის დასრულების შემდეგ საბოლოოდ გამოეთხოვება დიდ ფეხბურთს.

„2005 წლის ივნისში 45 წელი შემისრულდება და ფეხბურთიდან წავალ“, – ამბობს კოლინა. აქვე გეტყვით, რომ იტალიის მსაჯთა ასოციაციის წესებით მსაჯები ოფიციალურ მატჩებს 45 წლამდე უნდა ემსახურონ.

ასე რომ, ევროპის 2004 წლის ფინალური ეტაპი უკანასკნელი მაღალი რანგის შეჯიბრი იქნება „ფანტომასად“ წოდებული პიერლუიჯი კოლინასათვის. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის, სწორედ კოლინამ იმსაჯა.

## კუდიჩინი იტალიაში ბრუნდება?

ლონდონის „ჩელსის“ გოლკიპერი კარლ კუდიჩინი გუნდის დატოვებას ამ სეზონის დამთავრებისთანავე აპირებს. მას შემდეგ, რაც რომან აბრამოვიჩმა შეიძინა 28 წლის ჩეხი მეკარე პეტრ ჩეხი, კუდიჩინმა ჩათვალა, რომ მისი ადგილი „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში აღარ არის და გადაწყვეტილი აქვს, კვლავ დაუბრუნდეს იტალიას.

ვარაუდობენ, რომ კუდიჩინის მომდევნო გუნდი იქნება კახი კალაძის „მილანი“.

## 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოსკოვში გაიმართება

უეფას პრეზიდენტთან ლენარტ იუჰანსონთან შეთანხმებას მიაღწიეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა. შეთანხმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ 2006 წელს, ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს რუსეთის დედაქალაქი უმასპინძლებს.

## მხოლოდ 1 მილიონ დოლარად

ესპანური საფეხბურთო კლუბ „სევილიას“ ხელმძღვანელობამ მეტად ხელსაყრელ ფასად — 1 მილიონ დოლარად შეიძინა ნიჭიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი დანიელ ალვეში, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. შეგახსენებთ, რომ აქამდე ალვეში „სევილიას“ შემადგენლობაში არენდით თამაშობდა. ახალი კონტრაქტი 4,5 წლით განისაზღვრა.

## ბექჰემი და «სან-რემო»



არ არის გამორიცხული, მარტის პირველ რიცხვებში, სანრემოს მუსიკალური ფესტივალის წამყვანად მოგვევლინოს დევიდ ბექჰემი. ეს უკანასკნელი პარტნიორობას გაუწევს სიმონი ვენტურას. წამყვანის როლზე ბექჰემის კონკურენტები არიან კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო.

# ნბა

## „ლეიკერსი" დამარცხდა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე 97:92 სძლია „ფინიქსს". მასპინძელთაგან საუკეთესონი იყვნენ მილერი და კემბი, რომლებმაც 22-22 ქულა შესძინეს თავიანთ გუნდს.

„ლეიკერსი" კი სტუმრად დამარცხდა „მემფისთან" 82:88. ეს ცხადია, „ლეიკერსის" შემადგენლობაში წამყვან მოთამაშეთა არყოფნამ გამოიწვია. ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ" კი „მილუოკთან" წააგო 102:113.



სხვა მატჩები: „ტორონტო" — „მინესოტა" 97:108, კლიპერსი" — „გოლდენ სტეიტი" 106:102, „ჰიუსტონი" — „ნიუ-იორკი" 86:71, „სან ანტონიო" — „ნიუ ჯერსი" 99:76, „ატლანტა" — „ჩიკაგო" 97:87.

## მარკო იარიჩი: „ოლიმპიადაზე უძლიერესი შემადგენლობით გამოვალთ"

*ნბა-ში მოთამაშე ევროპელთაგან ყველაზე შედეგიანად ითვლებიან ფრანგი ტონი პარკერი „სან ანტონიოდან" და სერბი მარკო იარიჩი „კლიპერსიდან". დღევანდელ ნომერში სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას. იარიჩი თამაშობს ნბა-ს ერთ-ერთ სუსტ გუნდში, რომლის შემადგენლობის 90 პროცენტს პერსპექტიული, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა კალათბურთელები შეადგენენ. იარიჩიც თანდათანობით ხვეწს თავის სათამაშო კლასს და ეს კარგად შეიმჩნევა „კლიპერსის" მონაწილეობით ბოლო პერიოდში გამართულ მატჩებში.*

*ვფიქრობთ, მარკო იარიჩის მიერ „სპორტისათვის" მიცემული ინტერვიუ საინტერესო იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის.*



● ***თქვენი დებიუტი ნბა-ში შარშან შედგა. მოახერხეთ თუ არა ადაპტაცია?***

— რა თქმა უნდა. ამერიკული კალათბურთი დიდად განსხვავდება ევროპულისაგან. თავდაპირველად გეჩვენება, რომ ნბა-ში პროცესები ათასჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ევროპაში, თუმცა თანდათან მაინც გადადიხარ ნბა-სეულ „სიხშირეზე" ადაპტაციის პერიოდში ბევრი სიურპრიზი შემხვედრია.

● ***რას გულისხმობთ?***

— ნბა-ს მატჩებში ჩემს სროლებს ბლოკირებას უკეთებდნენ, რაც ევროპაში ხშირად არ ხდებოდა. გარდა ამისა, დიდი ბრძოლის გადატანა მომიხდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ დავმკვიდრებულიყავი. „კლიპერსის" ძირითადი გამთამაშებელი ანდრე მილერი იყო, მის ადგილზე ბევრი აცხადებდა პრეტენზიას. შევძელი, ჩემი შესაძლებლობები სრულად წარმომეჩინა, რამაც ძირითად შემადგენლობაში მომაპოვებინა ადგილი.

● ***რით განსხვავდება წლევანდელი სეზონი შარშანდელისაგან?***

— მილერი „დენვერში" გადავიდა, მე კი სასტარტო ხუთეულის წევრი გავხდი. თანაგუნდელებიც და გუნდის ხელმძღვანელებიც ბევრს ელიან ჩემგან, მთავარია, „კლიპერსის" ღირსეული ლიდერი გავხდე. ლიდერობა კი დამოკიდებულია საკუთარი თამაშის ხარისხსა და თანაგუნდელთა მხრიდან ნდობაზე.

● ***როგორ წარმოგიდგენიათ მარკო იარიჩის მომავალი ნბა-ში?***

— აუცილებლად უნდა მივაღწიო მაღალ შედეგიანობას. კარგი იქნება, თუ მატჩში საშუალოდ 15-20 ქულას მოვაგროვებ.

● ***რა აზრის ხართ „კლიპერსის" მწვრთნელზე მაიკ დანლივზე?***

— მისი მანერა ევროპელი მწვრთნელებისას წააგავს. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და დანლივი გვასწავლის, როგორ უნდა მოვემზადოთ თითოეული მატჩისათვის, როგორ უნდა ვითამაშოთ, როგორ უნდა მოვიგოთ, რა რეაქცია უნდა გამოვავლინოთ დამარცხების შემთხვევაში და ა.შ. დანლივის მუშაობის სტილი ძალიან მომწონს.

● ***რომელ ევროპულ მწვრთნელს შეადარებდით?***

— ჟელკო ობრადოვიჩს.

● ***შემოდგომაზე შვედეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა მხოლოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. რით ახსნით ამას?***

— ყოველ მნიშვნელოვან ტურნირში გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებებს ელიან, მეტოქეები კი მთელი ძალების მობილიზებით ცდილობენ ჩვენს დამარცხებას. მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის მძიმედ გადასატანი გამოდგა. გვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რამაც ცხადია, გავლენა იქონია გუნდის შედეგებზე. ამის მიუხედავად, მჯერა, რომ ათენში, ოლიმპიურ თამაშებში სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით წარსდგებიან.

## უოლესი „პორტლენდიდან" წასვლას აპირებს

ნბა-ს კლუბ „პორტლენდის" (ამ გუნდში თამაშობს ვლადიმერ სტეფანია) ფორვარდმა რაშიდ უოლესმა უარი განაცხადა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. ის აღარ გააგრძელებს მოლაპარაკებებს „პორტლენდის" ხელმძღვანელობასთან და ახალი გუნდის ძიებას დაიწყებს.

ახალი კონტრაქტის პირობებით, უოლესს ყოველწლიურად 8 მილიონი დოლარი უნდა მიეღო და ეს თანხა ფორვარდს ეცოტავა.

## ანანდი ლიდერობას ინარჩუნებს

ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირის მეცხრე ტურში ვლადიმერ კრამნიკი შეეცადა თეთრი ფიგურებით შეჯიბრების ლიდერის, ინდოელი ვიშვანათან ანანდის დამარცხებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა გაუწია და ყაიმს მიაღწია. ამრიგად, 9 შესაძლებლიდან ანანდს უკვე 6,5 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს — ლეკოსა და ადამსს. ადამსი დამარცხდა ვან ველისთან, ხოლო ლეკო დაუზავდა სვიდლერს.

## ავსტრალიის ღია პირველობაზე...

ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთში წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას ფავორიტებად მიჩნეულნი. მესამე ნომრად განთესილმა ესპანელმა ხუან-კარლოს ფერერომ იტალიელი ფილიპო ვოლანდრი დაამარცხა 6:4, 7:6, 7:5. ხოლო არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს არ გასჭირვებია გერმანელი ფლორიან მაიერის ჩამოშორება — 6:1, 6:0, 6:3. მეორე ნომრად განთესილმა როჯე ფედერერმა კი ამერიკელ ჯეფ მორისონს მოუგო 6:2, 6:3, 6:4.

ქალთა ტურნირში მეორე წრე წარმატებით დაძლია მეორე ნომრად განთესილმა, ბელგიელმა კიმ კლისტერსმა, რომელმაც დაჯაბნა იტალიელი მარია ელენა კამერინი 6:0, 6:0. ვინუს უილიამსმა კი მოუგო რუსეთის წარმომადგენელს ვერა დუშევინას 6:4, 6:2.

## 2006 წელს გადადგება

„ტურ დე ფრანსის" დირექტორმა ჟანმარი ლებლანმა განაცხადა, რომ აპირებს, 2006 წელს, დატოვოს თანამდებობა. საინტერესოა, რომ ლებლანი ჯერ კიდევ შარშან აპირებდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა. ლებლანის მემკვიდრედ კრისტიან პრიუდომს მოიაზრებენ.

საქართველოს სამბოს ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სამბისტი, საქართველოს და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში

ქოროღლი (შიო) შიოშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორის მოადგილე

დალი წულაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 23.I, 16 სთ; დაკრძალვა 24.I, 14 სთ.

**მისამართი:** დიღმის მასივი მეგობრობის გამზირი III კვ. II კორპ. II სადარ.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამომცემლობა „სამშობლოს" ყოფილი თანამშრომლის

ჯემალ (პაპიკა) ედიბარაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 იანვარი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი" (14.50); ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 წ. სეზონი". გერმანის „შტუტგარტი" — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" (13.20), ლიბერტადორესის თასის განვლილი სეზონის მატჩი. ბრაზილიის „სანტოსი" — ურუგვაის „ნასიონალი" (15.15), „თანამეგობრობათა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55, 19.55), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.55), იტალიის ჩემპიონატი. „ბრეშია" — „მილანი" (22.40), „ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 წ. სეზონი". უკრაინის „დინამო" — ინგლისის „არსენალი" (0.40), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (2.25), კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა (4.30), ყოველდღიური (4.30), ჩემპიონატის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია (5.00), „ნბა-ს დიდი მატჩები". 1985 წ. (8.00); ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.45, 14.25), ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში (13.15), ტაილანდური კრივი (16.15), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (18.00, 3.55), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (0.00); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (15.45, 16.15, 17.15, 20.00, 22.00), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (18.45, 2.45, 4.00, 6.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე-კარლო (2.00), ევროსპორტის ახალი ამბები (3.45).

**24 იანვარი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** კალათბურთი, ნბა-ს მატჩი (15.15), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „სამპდორია" — „რეჯინა" (23.30, 0.30); ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 წ. სეზონი". უკრაინის „დინამო" — ინგლისის „არსენალი" (13.15), რუსეთის „ლოკომოტივი" — „იტალიის „ინტერი" (20.30), „ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები". პარაგვაის ნაკრები — ესპანეთის ნაკრები (15.10 — მერვედფინალი), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში". გერმანიის ჩემპიონატი „შტუტგარტი" — „ბაიერი (17.55), „ფუტბოლ მუნდიალი" (19.40), ლიბერტადორესის თასი. განვლილი სეზონის მატჩი. ბრაზილიის „პაისანდუ", არგენტინის „ბოკა ხუნიორსი" (22.25), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25), კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა (4.00), ლეგენდები — ვეს ანსელდი (4.30), ყოველდღიური მიმოხილვა (5.30), ჩემპიონატის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია (6.00), ლეგენდები — რალფ სემპსონი (9.00); ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.00, 14.25, 16.10), ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში (13.30), „ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიონალებზე (16.45), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (18.00, 3.55), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (22.30); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.00, 15.00, 16.00, 17.15), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (12.45, 21.00, 4.00, 6.00), ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (22.00, 22.30), კრივი. პროფესიონალები (0.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე-კარლო (1.30), ევრო-სპორტის ახალი ამბები (2.30, 3.45).

**25 იანვარი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.** მსოფლიო ფეხბურთი (21.30), იმედი. სპორტული პროგრამა „ასი" (18.15), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.30, 0.30); ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 1.35), „ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 წ. სეზონი". რუსეთის „ლოკომოტივი" — იტალიის „ინტერი" (15.00), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55), ჰოლანდიის ჩემპიონატი. „ფეიენოორდი" — „უტრეხტი" (19.55), საბერძნეთის ჩემპიონატი. „პანათინაიკოსი" — აეკ-ი (21.50), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.30), ესპანეთის ჩემპიონატი (1.35); ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.25, 12.00, 13.00, 17.15), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (14.45), პროფესიული კრივი. ბიო არტურ გატი — ჯანლუკა ბრანკო (18.45), ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში (0.00); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 14.00, 15.00), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (16.30, 18.15, 21.00, 4.00, 6.00), ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (2.45), ევროსპორტის ახალი ამბები (3.45).



## კროსვორდი № 6

**თარაზულად:** 3. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, 7. „დინამოს" რიგებში ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, 9. სომხური წარმომავლობის ცნობილი ჩოგბურთელი (აშშ), 10. პირველი ქართველი მოჭადრაკე დიდოსტატი — ვაჟი, 11. მატჩის ერთი ნახევარი, 12. ტყვიის სროლაში ოლიმპიური (1972) ჩემპიონი (კდრ); 13. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 14. მძლეოსნური იარაღი, 16. მარტოსული ანუ... 17. გრძელი მათრახი, 18. ძალოსნობაში ქვესახეობა, 21. საქმეში შეტანილი თითოეულის წილი, 25. ქართველი მძლეოსანი ქალი, სეულში ოლიმპიადის პრიზიორი, 27. ქართული ფული, 28. სწრაფი ჭადრაკი, 29. უმატორო ნავის მამოძრავებელი.

**შვეულად:** 1. სპორტსმენთა საზეიმო სვლა... 2. პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალი, 3. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 4. ტანვარჯიშული იარაღი, 5. ცხენის მსხვილი ბალანი, 6. საიდუმლო დოკუმენტების, ძვირფასეულობის შესანახი ადგილი, 8. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 14. ვახტანგ ბალავაძის სოფელი, 15. საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ეროვნება, 19. პროფესიონალი მოკრივე, 20. დილის ნამი, ანუ... 22. მდინარე თბილისთან ახლოს, 23. რაიონი აფხაზეთში, 24. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია. 26. ლიბერიის ფეხბურთის ვარსკვლავი.

შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ

### №5 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. აპოლონი, 6. შამათი, 8. მედაკინი, 9. ფლო, 10. ოტო, 13. ჰოუ, 15. მანძილი, 16. სოლინგი, 20. ძაკერონი, 21. ირანი, 22. ლიატო, 23. „ლეიკერსი".

**შვეულად:** 1. „აპოელი", 2. კორეა, 3. „კაენი", 4. ათლეტი, 7. სკალა, 11. ამორძალი, 12. ონო, 13. ჰელსინკი, 14. აფი, 17. გინესი, 18. ჰერტა", 19. ო,ნილი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში (№5) გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ეf4! მუქარა 2. ლc4X
1. ..... ეc5 2. ლg2X, 1. ..... ეd4 2. ეf5X,
1. ..... ეc3 2. ლf5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru